იჯარით-აღებული ქონების კეთილმოწყობა	20 - 25

2.7 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 3 წლის გაანგარიშებით.

2.8 გუდვილი

საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც განისაზღვრება შეძენის ღირებულების ნამეტნე თანხით კომპანიის ნეტო აქტივებსა და ნაკისრ ვალდებულებებზე.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ გუდვილი ასახულია თვითღირებულებით რომელსაც აკლდება აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. გუდვილის მიმოხილვა გაუფასურებაზე ტარდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად თუ გარემოებები ან ცვლილებები მიუთითებს რომ ნარჩენი ღირებულება შესაძლოა იყოს გაუფასურებული. გაუფასურების მიზნებისათვის გუდვილის ალოკაცია ხდება ჯგუფის ყველა ფულად მაგენერირებელ ერთეულზე ან ერთეულებზე რომლებიც მოსალოდნელია რომ მიიღებენ სარგებელს შესყიდვის შედეგად წარმოშობილ სინერგიის გამო, გადანაწილება ხდება მიუხედავად იმისა ხდება თუ არ შესყიდული აქტივებისა და ვალდებულების გადანაწილება ამავე ერთეულებზე. თითოეული გადანაწილების ერთეული წარმოადგენს ჯგუფის მენეჯმენტის მიერ გუდვილის მონიტორინგის მიზნით გადანაწილების უმდაბლეს დონეს.

გაუფასურება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრით რომელსაც გუდვილი მიეკუთვნება. როდესაც იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება რომელსაც მიეკუთვნება გუდვილი ნაკლებია მის ნარჩენ ღირებულებაზე წარმოიქმნება გაუფასურების ზარალი. ზარალი აღიარდება ხარჯის სახით და შეუძლებელია მისი შეტრიალება შემდგომ პერიოდებში.

2.9 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და ასევე ის აქტივები რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველწლიურ ტესტირებას. ეს აქტივები რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას მაშინ როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები გარდა გუდვილისა მიმოხილვა გაუფასურების შებრუნების გაუქმების მიზნით.

2.10 ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პრინციპები

ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, მათი კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

რეალური ღირებულება გახლავთ თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ფასი ფინანსური აქტივებისათვის და მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კოტირებულია აქტიურ ბაზარზე. ურთიერთგადამფარავი საბაზრო რისკების მქონე აქტივებისა და ვალდებულებებისთვის ჯგუფმა შეიძლება საშუალო საბაზრო ფასები გამოიყენოს ურთიერთგადამფარავი რისკის პოზიციების რეალური ღირებულების დადგენისათვის და შეთავაზებული ფასი ან მოთხოვნილი ფასი გამოიყენოს ღია პოზიციების შესაფერისად დაბალანსებისათვის. ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირებულად განიხილება, თუ კოტირებული ფასები იოლად და რეგულარულად მიღებადია ბირჟიდან ან სხვა დაწესებულებიდან და აღნიშნული ფასები ასახავს ფაქტიური და რეგულარული საბაზრო გარიგებებს საფონდო ბირჟაზე გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადის მოდელები ან მოდელები გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით დადებული ბოლოდროინდელი გარიგებების, ან ინვესტიციის მიმდების ფინანსური მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთათვისაც გარე საბაზრო ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების მეთოდებით შეიძლება მოითხოვებოდეს ისეთი დაშვებების გაკეთება, რომლებიც არ არის გამყარებული დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ახსნა-განმარტებითი შენიშვნები თუ მსგავსი დაშვებების გონივრულად შესაძლებელი ალტერნატივით შეცვლის შედეგად მიიღება მნიშვნელოვნად განსხვავებული მოგება, შემოსავალი, მთლიანი აქტივები ან მთლიანი ვალდებულებები.

გარიგების დანახარჯები არის ნამეტი დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს. ნამეტი დანახარჯები არის დანახარჯები, რომლებიც არ წარმოიშობოდა, თუ არ განხორციელდებოდა გარიგება. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (გაყიდვის აგენტებად მოქმედ დაქირავებულ მომუშავეთა ჩათვლით), მრჩეველების, ბროკერებისა და დილერების ხელფასებსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი სააგენტოებიდან და საფონდო ბირჟებიდან მოსაკრებლებსა და სატრანსფერო ბაჟსა თუ სავალდებულო მოსაკრებელს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს პრემიებსა და ფასდათმობებს, ფინანსურ დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ თუ მფლობელთა დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა თავდაპირველი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის გადახდით, მიმატებული დარიცხული პროცენტის თანხა და ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, შემცირებული მიღებული გაუფასურების ზარალის ჩამოწერით. დარიცხული პროცენტის თანხა მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და პრემიას ან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტის დისკონტირებული ღირებულება. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, როგორც დარიცხული კუპონის, ისე ამორტიზირებული დისკონტის ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს), ცალ-ცალკე კი არ აისახება, არამედ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი, ისე რომ მიღებულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, თუ შესაფერისია, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის გადაფასების შემდეგ თარიღამდე, გარდა პრემიის ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში განსაზღვრული მცოცავი საპროცენტო განაკვეთის შეღავათის დიპაზონს ან სხვა ცვლადებს, რომლებიც დამოკიდებული არ არის საბაზრო განაკვეთზე. მსგავსი პრემია ან დისკონტი ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. ახლანდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს მხარეების მიერ ყველა საკონტრაქტო გადახდილ ან მიღებულ საზღაურს, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

2.11 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამოიწერულ ფინანსურ აქტივებად. ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების გადატანა ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაში გადიოდა.

2.12 ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პლუს გარიგების დანახარჯებით. გარიგების ფასი არის თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება. თავდაპირველი აღიარების დროს მიღებული შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, თუ არსებობს განსხვავება რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დასაბუთებაც შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებად საბაზრო გარიგებებით, ან შეფასების ისეთი მეთოდით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას გულისხმობს.

ყველა ფინანსური აქტივის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდება მოითხოვება მარეგულირებელი წესებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (ყიდვა-გაყიდვის “ჩვეულებრივი გზა”) დადგენილ ვადებში, აისახება გარიგების დადების თარიღით, რომელიც არის ის თარიღი, როდესაც ჯგუფი ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მონაწილე.

2.13 ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი მოხდენისთანავე ერთი ან უფრო მეტი მოვლენის შედეგად (“ზარალის განმაპირობელი მოვლენები”), რომელთაც ადგილი ჰქონდათ ფინანსური აქტივის

თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოცემული ფინანსური აქტივიდან, ან ფინანსური აქტივების ჯგუფიდან, რომელთა საიმედო შეფასებაც შესაძლებელია, მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების შეფასების ოდენობაზე, ან პერიოდულობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ინდივიდუალურად შეფასებული აქტივის გაუფასურებას, მიუხედავად მნიშვნელოვანი, ან უმნიშვნელო გაუფასურებისა, ჯგუფი ამ აქტივს მიაკუთვნებს ანალოგიური საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და ერთობლივად შეაფასებს მათ გაუფასურებას. ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას ძირითადი ფაქტორები, რომელსაც გაითვალისწინებს ჯგუფი, არის ფინანსური აქტივის ვადაგადაცილებულობის სტატუსი.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები მოლაპარაკების შედეგად შეიცვალა, ან სხვა მხრივ მოხდა მოდიფიცირება კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურების შეფასება ხდება პირობების მოდიფიკაციამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება დაყვანილ იქნეს მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებამდე. იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების თანხის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან (მაგალითად, როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება ხდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მეშვეობით.

ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის ანარიცხებში მას შემდეგ, როდესაც დასრულდება აქტივის ამოსაღებად ყველა საჭირო პროცედურის განხორციელება დასრულდება და განისაზღვრება ზარალის ოდენობა.

2.14 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.15 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

მომსახურების გაწევით და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი ამოღებად ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად.

2.16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დაავალიანებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად შესაბამისად.

2.17 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარედგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება ზარალის პერიოდში.

2.18 იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საპირისპირო შემთხვევაში იჯარა განიხილება როგორც ფინანსური იჯარა. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახადელების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით.

ფინანსური იჯარის შემთხვევაში ყოველი საიჯარო გადასახდელის განაწილება ხდება საიჯარო ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯის (პროცენტი) დარიცხვა მოგება ზარალის ანგარიშგებაში ხდება იმდაგვარად რომ გამოყენებული იყოს მუდმივი განაკვეთი საიჯარო ვალდებულების მიდინარე ბალანსთან მიმართებაში. იჯარის ფარგლებში მიღებული ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხორციელდება საიჯარო ვადისა და აქტივის ცხოვრების ხანგრძლივობის შორის უმცირესი ვადის მიხედვით.

2.19 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.20 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს ჯგუფი იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. ჯგუფის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის ჯგუფიც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივებს

და ვალდებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა ანულირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

2.21 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.22 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ ჯგუფის დაქირავებული მომუშავეები. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.23 ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.24 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

ჯგუფი ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება ჯგუფის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა ჯგუფის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ფოთის პორტის ტერმინალებისა და მასთან დაკავშირებული აქტივების ფინანსური და ოპერაციული იჯარა. შპს ტრანსფორდმა და შვილობილ კომპანიებმა მოიპოვეს ფოთის პორტის რამოდენიმე ტერმინალისა და მასთან დაკავშირებული აქტივების გამოყენების უფლება. კონტრაქტების ხანგრძლივობა განისაზღვრება 18 დან 25 წლამდე. მხარეთა თანხმობის შემთხვევაში ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს კიდევ ხუთი წლით. კომპანიები პასუხისმგებელი არიან აქტივების მოვლა/შენახვაზე, ნებისმიერი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, შეკეთება შეთანხმებული უნდა იქნას იჯარის გამცემთან.

კონტრაქტებთან დაკავშირებული სხვა დამატებითი დეტალები მოცემულია ქვემოთ:

კომპანია	პორტის ტერმინალის ნომერი	აქტივების გამოყენების უფლების გადაცემის ფაქტობრივი თარიღი	სარგებლობის უფლების ხანგრძლივობა (ხელშეკრულების ვადის გასვლა)
შპს ტრანსფორდი	3,4,6,15	2012 წლის 10 დეკემბერი	20, 25
შპს მეტალექს ტრანსი	5	2011 წლის 17 მარტი	18
შპს ბი ენდ პი	8, 9, 10	2003 წლის 1 სექტემბერი და 2005 წლის 1 დეკემბერი	25

ჯგუფის მენეჯმენტმა ჩათვალა რა რომ აღნიშნული ოპერაცია მოიცავს როგორც ფინანსურ ასევე ოპერაციული იჯარის ელემენტებს, ჯგუფმა დანერგა შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

- ვინაიდან, ტერმინალთან დაკავშირებული აქტივების გამოყენების უფლება მოიცავდა ამ აქტივების ცხოვრების ხანგრძლივობის უდიდეს ნაწილს, ამ ნაწილში ჩათვალა რომ აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელის გადაცემა ხდებოდა მასზე. შედეგად ამ ნაწილში ოპერაცია ასახული იყო როგორც ფინანსური იჯარა. ფინანსური იჯარის ვალდებულების და აქტივების თავდაპირველი აღიარება მოხდა პროფესიონალი შემფასებელის მიერ შეფასებული აქტივების სამართლიანი ღირებულების მიხედვით;
- უშუალოდ ტერმინალის, რომელიც მოიცავს სპეციალიზირებულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას, კონტრაქტუალური გამოყენების უფლება არ მოიცავდა მისი ცხოვრების ხანგრძლივობის ძირითად ნაწილს რის გამოც ამ ნაწილში იჯარა ჩათვალა საოპერაციო იჯარად;
- იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი (შეფასებით 11-12%) გამოყენებულია როგორც იჯარის ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი ფინანსური იჯარისა და საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების გაყოფის მიზნით.

ბასს 17 - იჯარა შესაბამისად იჯარის დაწყების მომენტში მოიჯარე აღიარებს აქტივებს და ფინანსური იჯარის ვალდებულებას აქტივების სამართლიანი ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით. ბასს 17 მე-16 პარაგრაფი განიხილავს საკითხს მიწისა და შენობა-ნაგებობის იჯარასთან დაკავშირებით: „მინიმალური საიჯარო გადასახადი (ხელშეკრულებამდე გადახდილი ნებისმიერი საერთო თანხის ჩათვლით) უნდა განაწილდეს მიწასა და შენობა-ნაგებობებს შორის იჯარის დასაწყისში, საიჯარო ქონების რეალურ ღირებულებაში მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტის პროპორციულად“. საიჯარო ქონების რეალურ ღირებულებაში მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტის შეფასება მოითხოვს მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტების განცალკევებული სამართლიანი ღირებულების შეფასებას. მართალია ეს საკითხი პირდაპირ არ ეხება ჯგუფის იჯარის ოპერაციას, თუმცა იგივე მიდგომის გამოყენება შესაძლებელი იყო ტერმინალისა და ტერმინალთან დაკავშირებული ქონების იჯარის გადასახადების განაწილების მიზნით. ტერმინალების შეფასების კომპლექსურობიდან გამომდინარე ჯგუფის მენეჯმენტმა მოახდინა მხოლოდ ტერმინალთან დაკავშირებული მოწყობილობების შეფასება და მთლიანი სახელშეკრულებო გადასახადები გამოყო ამ მონაცემით და ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტური მოწყობილობების მიმდინარე საბალანსო ღირებულების, ფინანსური იჯარის ვალდებულების, ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯის და ტერმინალის საოპერაციო იჯარის ხარჯის წარდგენილი მონაცემების ამსახველი ცხრილი:

	2017 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
ფინანსური იჯარით აღებული მანქანა დანადგარები	22,923	24,315
ფინანსური იჯარის ვალდებულება	34,367	38,736
ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯი	3,897	3,888
ტერმინალის საოპერაციო იჯარის ხარჯი	14,012	12,557

საიჯარო გადასახადების განაწილება რომ მომხდარიყო ტერმინალისა და ტერმინალთან დაკავშირებული ქონების რეალური ღირებულებათა მიხედვით მაშინ შესაძლოა ზემოთ მოცემულ ანგარიშგებაში ასახული მონაცემები ყოფილიყო განსვავებული.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ჯგუფის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი

ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

საექვო ვალების რეზერვი. ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას ჯგუფი ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის რომ საექვო ვალების წარდგენილი მონაცემები 843 (510 2016 წლის 31 დეკემბრისათვის) წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა განმარტებითი შენიშვნა 7).

სასამართლო დავა.

შპს „ბი ენდ პი“-ს სასამართლო დავა - შპს „ბი ენდ პი“ არის ერთ-ერთი მესამე პირი სასამართლო დავაში, რომელიც დაიწყო 2014 წელს. ეს არის კომპლექსური (მრავლისმომცველი) სამოქალაქო დავა, რომლის ერთ ერთი სადაო საკითხია შპს „ბი ენდ პი“-სა და „ფოთის საზღვაო კორპორაცია“-ს შორის მე-9 და მე-10 ტერმინალებთან დაკავშირებით დადებული იჯარის ხელშეკრულების ნამდვილობა. ჯგუფის მენეჯმენტი, შეფასების შედეგად, არ ელოდება რაიმე არასასურველ (უარყოფით) შედეგებს შპს „ბი ენდ პი“-ს დავებისგან.

იმ შემთხვევაში თუ ზემოთ აღნიშნული სასამართლო დავის ფაქტიური შედეგი განსხვავებული იქნება მენეჯმენტის მოლოდინებისაგან მაშინ ჯგუფს მიადგება მნიშვნელოვანი ზარალი.

შპს“ტრანსფორდი”

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა გეობები	იჯარით- აღებული ქონების კეთილმო- წყობა	მანქანა- დანადგა რები	ოფისის აღჭურვი ლობა	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	დაუმთავრ ებელი კაპ. დაზანდება	სულ
ისტორიული ღირებულება							
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	983	1,430	37,047	337	313	33	40,143
შეძენა	-	1	1,198	28	11	-	1,238
გასვლა	-	-	(410)	(37)	(12)	-	(459)
რეკლასიფიკაცია	-	7	26	-	-	(33)	-
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	983	1,438	37,861	328	312	-	40,922
შეძენა	63	109	523	35	-	-	730
გასვლა	-	-	(33)	(14)	-	-	(47)
2017 წლის 31 დეკემბრის	1,046	1,547	38,351	349	312	-	41,605
ცვეთა:							
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	40	274	7,687	166	115	-	8,282
პერიოდის ცვეთა	14	61	1,747	47	43	-	1,912
გასულის პერიოდის ცვეთა	-	-	(274)	(12)	(11)	-	(297)
რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	54	335	9,160	201	147	-	9,897
პერიოდის ცვეთა	16	61	1,863	52	40	-	2,032
გასულის პერიოდის ცვეთა	-	-	(23)	(11)	-	-	(34)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	70	396	11,000	242	187	-	11,895
წმინდა საბალანსო ღირებულება:							
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	943	1,156	29,360	171	198	33	31,861
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	929	1,103	28,701	127	165	-	31,025
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	976	1,151	27,351	107	125	-	29,710

შპს "ტრანსფორდი"

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ჯგუფის მანქანა დანადგარები მოიცავს ქვემოთ მოცემულ აქტივებს რომელსაც ჯგუფი ფლობს ფინანსური იჯარის სახით (ფინანსური იჯარის დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 15-ში):

	მანქანა- დანადგარები (ფინანსური იჯარა)
ისტორიული ღირებულება	
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	31,371
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	31,371
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	31,371
ცვეთა:	
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5,671
პერიოდის ცვეთა	1,385
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,056
პერიოდის ცვეთა	1,392
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,448
წმინდა საბალანსო ღირებულება:	
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	25,700
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,315
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	22,923

4. არამატერიალური აქტივები და გუდვილი

	საბუღალტრო და სხვა პროგრამები
ისტორიული ღირებულება	
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	14
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14
ცვეთა:	
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	8
პერიოდის ცვეთა	1
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9
პერიოდის ცვეთა	1
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10
წმინდა საბალანსო ღირებულება:	
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4

გუდვილი თანხით 179 წარმოშობილია 2011 წელს შპს მეტალექს ტრანსის შესყიდვის შედეგად.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების მიხედვით გუდვილის გაუფასურება

გაუფასურების ტესტირების მიზნებისათვის შპს მეტალექს ტრანსი განხილულია როგორც ერთი ფულადი საშუალებების მაგენერირებელი ერთეული. უფრო დაბალი ელემენტი შპს მეტალექს ტრანსი შიგნით რომლის დონეზეც ხდება გაუფასურების მონიტორინგი ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ არ არსებობს. ამ ფულადი საშუალებების მაგენერირებელი ერთეულის ამოღებადობა შეფასებულია გამოყენების ღირებულებით მთლიანად

ჯგუფის განრძობითი გამოყენების დაშვებით და მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების გზით. შეფასებადი ამოღებადი ღირებულება აჭარბებს საბალანსო ღირებულებას რის გამოც გაუფასურება არ არის აღიარებული.

ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შეფასებისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები

ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შეფასებისას გამოყენებული ძირითადი კომპონენტებია: დისკონტირების კოეფიციენტი, ტერმინალური ღირებულება, ზრდის კოეფიციენტი, წლიური EBITDA ზღვრული მაჩვენებლები. ამ კომპონენტების განმარტება შემდეგია:

- **დისკონტირების განაკვეთი**

20 % დაბეგრამდე ნომინალური დისკონტირების განაკვეთია გამოყენებული შეფასებისას. დისკონტირების კოეფიციენტი ასახავს მოთხოვნილ უკუგების კოეფიციენტს ანალოგიურ კომპანიებში ლარში ასახული ინვესტიციებისას.

- **ტერმინალური ღირებულების გაანგარიშებისას ზრდის მაჩვენებელი**

ფულადი ნაკადების შეფასება ეყრდნობა წარსულ გამოცდილებას და ფაქტურ ნაკადებს და იჯარის პერიოდის შესაბამის (11 წელი) ბიზნესს გეგმას.

- **დაგეგმილი EBITDA**

დაგეგმილი EBITDA ეყრდნობა წარსულ გამოცდილებას და შესყიდვის შედეგად წარმოქმნილი სინერგიის ზეგავლენის გაანგარიშებას.

- **დაშვებების მგრძნობელობის ანალიზი**

61 პროცენტიანი დისკონტირების განაკვეთის და 47 პროცენტიანი EBITDA ზღვრული მაჩვენებლის გამოყენება იწვევს ფულადი ერთეულის მაგნიტუდის ერთეულის ამოღების ღირებულებისა და საბალანსო ღირებულების ტოლობას.

5. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
ყადაღა დადებულ საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთი (დეტალეებისთვის იხილეთ შენიშვნა 22)	-	2,300
გრძელვადიანი მოთხოვნა დაკავშირებულ მხარესთან	180	-
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები	54	103
ენერგო მომარაგების კომპანიაზე გადახდილი გრძელვადიანი ავანსი	46	46
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	280	2,449

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები მოიცავს მასალებს და დამხმარე ნაწილებს.

შპს“ტრანსფორდი”

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მიმდინარე აქტივები

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	13,757	8,570
საექვო ვალების რეზერვი	(843)	(510)
საწესდებო კაპიტალის შეესების მოთხოვნა	7,000	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები	858	147
წინასწარ გაწეული ხარჯები	20	18
სხვა მოთხოვნები	2	229
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მიმდინარე	20,794	8,454

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა

	2017 წ.	2016 წ.
1 იანვრის მდგომარეობით	510	548
ზრდა მიმდინარე პერიოდისთვის	333	73
რეზერვის გამოყენება	-	(111)
31 დეკემბრის მდგომარეობით	843	510

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2017	31.12.2016
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	8,510	7,514
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	822	2,496
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9,332	10,010

9. არამაკონტროლებელი წილი

არამაკონტროლებელი წილი დაკავშირებულია შპს მეტალექს ტრანსსა და შპს ბი ენდ პისთან.

შპს მეტალექს ტრანსის არამაკონტროლებელი წილის ბალანსის მოძრაობა მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2017	31.12.2016
1 იანვარი	2,388	2,411
მოგების წილი	1,390	452
დივიდენდი	(475)	(475)
31 დეკემბერი	3,303	2,388

შპს "ტრანსფორდი"

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შპს მეტალექს ტრანსის საქმიანობის შედეგები და აქტივები და ვალდებულებები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2017	31.12.2016
აქტივები:		
გრძელვადიანი აქტივები	5,594	8,170
მიმდინარე აქტივები	8,050	4,344
სულ	13,644	12,514
ვალდებულებები:		
გრძელვადიანი ვალდებულებები	5,782	6,494
მიმდინარე ვალდებულებები	908	994
სულ	6,690	7,488
ნეტო აქტივები	6,954	5,026

	31.12.2017 დასრულებული წლისათვის	31.12.2016 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი	7,419	6,082
ხარჯები (მოგების გადასახადის ჩათვლით)	(4,493)	(5,129)
წმინდა მოგება	2,926	953
– არამაკონტროლებელი წილი	1,390	452
– ჯგუფის მფლობელები	1,536	501

შპს ბი ენდ პის არამაკონტროლებელი წილის ბალანსის მოძრაობა მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2017	31.12.2016
1 იანვარი	1,206	2,507
მოგების/ზარალის წილი	231	(22)
დივიდენდი	-	(1,280)
31 დეკემბერი	1,437	1,205

შპს ბი ენდ პის საქმიანობის შედეგები და აქტივები და ვალდებულებები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2017	31.12.2016
აქტივები:		
გრძელვადიანი აქტივები	7,974	8,547
მიმდინარე აქტივები	9,682	8,863
სულ	17,656	17,410
ვალდებულებები:		
გრძელვადიანი ვალდებულებები	6,352	7,079
მიმდინარე ვალდებულებები	2,898	3,082
სულ	9,250	10,161
ნეტო აქტივები	8,406	7,249

შპს“ტრანსფორდი”

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31.12.2017 დასრულებული წლისათვის	31.12.2016 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი	21,841	21,680
ხარჯები (მოგების გადასახადის ჩათვლით)	(20,684)	(21,792)
წმინდა მოგება	1,157	(112)
– არამაკონტროლებელი წილი	231	(22)
– ჯგუფის მფლობელები	926	(90)

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2017	31.12.2016
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	2,074	2,073
გადასახდელი ხელფასები	297	415
სხვა კრედიტორული დავალიანება	32	41
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,403	2,529

11. შემოსავალი

	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ფოტის პორტში ჩატვირთვა გადმოტვირთვის მომსახურება	46,324	45,646
სხვა შემოსავალი	361	469
სულ შემოსავალი	46,685	46,115

12. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ნავმისადგომის იჯარა	14,012	12,557
შრომის ანაზღაურება	7,448	8,661
ცვეთა	1,949	1,827
მასალები	1,265	1,406
ტრანსპორტირების და რკინიგზის ხარჯი	2,171	2,958
სარემონტო სამუშაოები	380	217
ელექტროენერგიის ხარჯი	387	366
საწვავის ხარჯი	305	166
სხვა ხარჯი	1,475	1,253
სულ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	29,392	29,411

შპს "ტრანსფორდი"

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
შრომის ანაზღაურება	3,063	3,031
აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	447	432
საგადასახადო ხარჯი	560	195
ცვეთა და ამორტიზაცია	84	86
დაზღვევის ხარჯი	84	90
საექვო ვალების ხარჯი	333	73
კომუნიკაციის ხარჯი	38	96
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	217	375
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	4,826	4,378

14. ფინანსური ხარჯი (ნეტო)

	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ზარალი (მოგება) საკურსო სხვაობიდან	(756)	4,308
ფინანსური ლიზინგის საპროცენტო ხარჯი	3,897	3,888
საპროცენტო შემოსავალი	(920)	(690)
სესხის საპროცენტო ხარჯი	662	653
სხვა ფინანსური ხარჯი	45	51
სულ ფინანსური ხარჯი (ნეტო)	2,928	8,210

15. სესხები

	31.12.2017	31.12.2016
სესხის გადასახდელი პროცენტი (მოკლევადიანი ნაწილი)	1,410	-
სესხის გადასახდელი პროცენტი (გრძელვადიანი ნაწილი)	-	743
გადასახდელი ძირი (მოკლევადიანი ნაწილი)	9,073	-
გადასახდელი ძირი (გრძელვადიანი ნაწილი)	-	9,264
ფინანსური იჯარის მოკლევადიანი ნაწილი	3,117	2,864
ფინანსური იჯარის გრძელვადიანი ნაწილი	31,250	34,458
სულ	44,850	47,329

შპს "ტრანსფორდი"

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ვალდებულების დაფარვის გრაფიკი:

	31.12.2017	31.12.2016
დასაფარია შემდეგი პერიოდების განმავლობაში:		
1 წელში	13,600	2,864
1-3 წელში	4,996	15,108
3-6 წელში	7,494	7,652
6 წლის შემდეგ	18,760	21,705
სულ	44,850	47,329

ვალდებულებები წარდგენილია შემდეგ ვალუტაში:

	31.12.2017	31.12.2016
აშშ დოლარი	44,850	47,329
	44,850	47,329

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ბალანსის შედგენის თარიღებისათვის:

2016-2017	დოლარში, %
ვადაიანი სესხი	6.74

ფოტის პორტის ტერმინალებისა და მასთან დაკავშირებული აქტივების ფინანსური და ოპერაციული იჯარა. შპს ტრანსფორდმა და შვილობილ კომპანიებმა მოიპოვეს ფოტის პორტის რამოდენიმე ტერმინალისა და მასთან დაკავშირებული აქტივების გამოყენების უფლება. კონტრაქტების ხანგრძლივობა განისაზღვრება 18 დან 25 წლამდე. მხარეთა თანხმობის შემთხვევაში ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს კიდევ ხუთი წლით. კომპანიები პასუხისმგებელი არიან აქტივების მოვლა/შენახვაზე, ნებისმიერი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, შეკეთება შეთანხმებული უნდა იქნას იჯარის გამცემთან.

კონტრაქტებთან დაკავშირებული სხვა დამატებითი დეტალები მოცემულია ქვემოთ:

კომპანია	პორტის ტერმინალის ნომერი	აქტივების გამოყენების უფლების გადაცემის ფაქტობრივი თარიღი	სარგებლობის უფლების ხანგრძლივობა (ხელშეკრულების ვადის გასვლა)
შპს ტრანსფორდი	3,4,6,15	2012 წლის 10 დეკემბერი	20, 25
შპს მეტალექს ტრანსი	5	2011 წლის 17 მარტი	18
შპს ბი ენდ პი	8, 9, 10	2003 წლის 1 სექტემბერი და 2005 წლის 1 დეკემბერი	25

ჯგუფის მენეჯმენტმა ჩათვალა რა რომ აღნიშნული ოპერაცია მოიცავს როგორც ფინანსურ ასევე ოპერაციული იჯარის ელემენტებს, ჯგუფმა დანერგა შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

- ვინაიდან, ტერმინალთან დაკავშირებული აქტივების გამოყენების უფლება მოიცავდა ამ აქტივების ცხოვრების ხანგრძლივობის უდიდეს ნაწილს, ამ ნაწილში ჩათვალა რომ აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელის გადაცემა ხდებოდა მასზე. შედეგად ამ ნაწილში ოპერაცია ასახული იყო როგორც ფინანსური იჯარა. ფინანსური იჯარის ვალდებულების და აქტივების თავდაპირველი აღიარება მოხდა პროფესიონალი შემფასებელის მიერ შეფასებული აქტივების სამართლიანი ღირებულების მიხედვით;
- უშუალოდ ტერმინალის, რომელიც მოიცავს სპეციალიზირებულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას, კონტრაქტუალური გამოყენების უფლება არ მოიცავდა მისი ცხოვრების ხანგრძლივობის ძირითად ნაწილს რის გამოც ამ ნაწილში იჯარა ჩათვალა საოპერაციო იჯარად;
- იჯარის დაწყების თარიღისათვის ჯგუფის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი (შეფასებით 11-12%) გამოყენებულია როგორც იჯარის ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი ფინანსური იჯარისა და საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების გაყოფის მიზნით.

შპს“ტრანსფორდი”

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ბასს 17 - იჯარა შესაბამისად იჯარის დაწყების მომენტში მოიჯარე აღიარებს აქტივებს და ფინანსური იჯარის ვალდებულებას აქტივების სამართლიანი ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით. ბასს 17 მე-16 პარაგრაფი განიხილავს საკითხს მიწისა და შენობა-ნაგებობის იჯარასთან დაკავშირებით: „მინიმალური საიჯარო გადასახადელი (ხელშეკრულებამდე გადახდილი ნებისმიერი საერთო თანხის ჩათვლით) უნდა განაწილდეს მიწასა და შენობა-ნაგებობებს შორის იჯარის დასაწყისში, საიჯარო ქონების რეალურ ღირებულებაში მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტის პროპორციულად“. საიჯარო ქონების რეალურ ღირებულებაში მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტის შეფასება მოითხოვს მიწის ელემენტისა და შენობა-ნაგებობის ელემენტების განცალკევებული სამართლიანი ღირებულების შეფასებას. მართალია ეს საკითხი პირდაპირ არ ეხება ჯგუფის იჯარის ოპერაციას, თუმცა იგივე მიდგომის გამოყენება შესაძლებელი იყო ტერმინალისა და ტერმინალთან დაკავშირებული ქონების იჯარის გადასახადების განაწილების მიზნით. ტერმინალების შეფასების კომპლექსურობიდან გამომდინარე ჯგუფის მენეჯმენტმა მოახდინა მხოლოდ ტერმინალთან დაკავშირებული მოწყობილობების შეფასება და მთლიანი სახელშეკრულებო გადასახადები გამოყო ამ მონაცემით და ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ლიზინგთან დაკავშირებული ჯამური მონაცემები მოცემულია ქვემოთ:

	31.12.2017	31.12.2016
სრული ფინანსური დავალიანება-მინიმალური ლიზინგის გადასახადები:		
1 წელში	6,280	6,328
1-3 წელში	11,980	12,806
3-6 წელში	15,826	17,019
6 წლის შემდეგ	28,294	33,870
სულ სრული ფინანსური დავალიანება-მინიმალური ლიზინგის გადასახადები	62,380	70,023
ფინანსური ლიზინგის მომავალი პერიოდის ფინანსური ხარჯები	(28,013)	(32,701)
ფინანსური ვალდებულების დღევანდელი ღირებულება	34,367	37,322

ფინანსური ვალდებულების დღევანდელი ღირებულება მოცემულია ქვემოთ:

	31.12.2017	31.12.2016
1 წელში	3,118	2,864
1-3 წელში	4,996	5,101
3-6 წელში	7,494	7,652
6 წლის შემდეგ	18,759	21,705
სულ	34,367	37,322

ტერმინალების საოპერაციო იჯარის მომავალი პერიოდის მინიმალური გადასახადების ჯამური მონაცემები მოცემულია ქვემოთ:

	31.12.2017	31.12.2016
1 წელში	14,739	14,785
1-3 წელში	32,524	31,043
3-6 წელში	56,025	54,224
6 წლის შემდეგ	178,502	202,458
სულ	281,790	302,510

ფინანსური აქტივები დაცულია ფინანსური ლიზინგით აღებული აქტივებით რომელიც გადაეცემა მოიჯარეს ლიზინგის გაუქმების შემთხვევაში.

16. მოგების გადასახადი

გადავადებულ მოგების გადასახადში მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი (ვალდებულება)	ძირითადი საშუალებები	ხელფასი	სულ
2016 წლის 1 იანვარი	188	55	243
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის გაუქმება	(188)	(55)	(243)
2016 წლის 31 დეკემბერი	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	-	-	-

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გრძელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ამ ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები გააუქმა.

ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით მოგების განაწილება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით დაიბეგრება ასევე ზოგიერთი სახის ოპერაცია მაგალითად არაეკონომიური მიზნით ხარჯების გაწევა და სხვა. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ გაქვითონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. ამ ნაწილში საგადასახადო ცვლილებას ჯგუფის გადავადებულ მოგებაზე არანაირი გავლენა არ ქონია ვინაიდან ასეთი სახის გადასახადები აღრიცხულია როგორც მიმდინარე საგადასახადო ხარჯი.

მოგების გადასახადის კომპონენტები

	2016 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	1,412
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის გაუქმება	243
მოგების გადასახადის ხარჯი	1,655

შპს“ტრანსფორდი”

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ჯგუფის მოგების გადასახადის განაკვეთი 2016 წელს გახლდათ 15% . მოსალოდნელი და ფაქტიური საგადასახადო ხარჯების შეჯერება მოცემულია ქვემოთ.

	2016 წლის 31 დეკემბერი
მოგება დაბეგვრამდე	4,379
დარიცხული დასაბეგრი მოგება (თეორიული საგადასახადო ხარჯი კანონით განსაზღვრული 15%-იანი განაკვეთით)	657
წინა წელს გადავადებული საგადასახადო აქტივის გაუქმების ეფექტი საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების გამო	243
საგადასახადო გავლენა არაგამოქვითვად ხარჯებზე	755
სულ წლის მოგების გადასახადის ხარჯი	1,655

17. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	ვალდებულება 2017 წლის 31 დეკემბერი	ფულადი ნაკადებით გამოწვეული სხვაობა	დივიდენდის დარიცხვა	გადაფასების ცვლილება	ვალდებულება 2016 წლის 31 დეკემბერი
ანგარიშწორება დამფუძნებლებთან დივიდენდის ნაწილში	300	(1,000)	-	-	1,300
ანგარიშწორება არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე დივიდენდის ნაწილში	596	(475)	475	-	596
ფინანსური იჯარა წლის სესხები	33,965	(2,101)	-	(821)	36,887
	9,073	-	-	(191)	9,264
სულ	43,934	(3,576)	475	(1,012)	48,047

18. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

შპს“ტრანსფორდი”

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2017	31.12.2016
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
გაცემული სესხები და სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები (დაკავშირებულ მხარეზე)	1,544	1,188
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	12,914	8,060
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები		
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	9,332	10,010
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	23,790	19,258

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქცევითი ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

გაცემული სესხები - ჯგუფის მენეჯმენტი თვლის რომ დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხთან დაკავშირებული ლიკვიდურობის რისკი მინიმალურია.

დებიტორული დავალიანება - კონტრაგენტების ინტენსიური საკრედიტო ანალიზის საფუძველზე ფასდება მათგან მისაღების თანხების სარკედიტო ხარისხი. მნიშვნელოვანი დებიტორებისათვის ინდივიდუალური გაუფასურების შეფასება ხორციელდება ყოველ საბალანსო თარიღისათვის. მცირე თანხის დებიტორები ჯგუფდება ერთგვაროვან ჯგუფებად და მათი გაუფასურება ფასდება ჯგუფურად.

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით, რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსს მონიტორინგი უტარდება რეგულარულად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო დებიტორების ანალიზს ხანდაზმულობის სახეების მიხედვით. ასევე ცხრილში მოცემულია ამ აქტივებზე შექმნილი ზოგადი და სპეციფიკური გაუფასურების ანარიცხის თანხები:

2017 წლის 31 დეკემბრისათვის:

	ვადიანი მოთხოვნა და 30 დღემდე ვადაგადა ცილება	30-60 დღე ვადაგადა ცილება	60-90 დღე ვადაგადა ცილება	90-180 დღე ვადაგადა ცილება	180 დღეზე მეტი ვადაგადა ცილება	ჯამი
სავაჭრო დებიტორები	802	8	343		12,604	13,757
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	9,332	-	-	-	-	9,332
გაცემული სესხები და სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები (დაკავშირებულ მხარეზე)	1,364	-	-	-	180	1,544
სულ ფინანსური აქტივები	11,498	8	343	-	12,784	24,633
საეჭვო ვალების რეზერვი	13	-	-	-	830	843
ნეტო ფინანსური აქტივები	11,485	8	343	-	11,954	23,790

შპს“ტრანსფორდი”

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2016 წლის 31 დეკემბრისათვის:

	ვადიანი მოთხოვნა და 30 დღემდე ვადაგადა ცილება	30-60 დღე ვადაგადა ცილება	60-90 დღე ვადაგადა ცილება	90-180 დღე ვადაგადა ცილება	180 დღეზე მეტი ვადაგადა ცილება	ჯამი
სავაჭრო დებიტორები	2,284	113	3,799	32	2,342	8,570
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	10,010	-	-	-	-	10,010
გაცემული სესხები და სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები (დაკავშირებულ მხარეზე)	1,188	-	-	-	-	1,188
სულ ფინანსური აქტივები	13,482	113	3,799	32	2,342	19,768
საექვო ვალების რეზერვი	-	-	2	29	479	510
ნეტო ფინანსური აქტივები	13,482	113	3,797	3	1,863	19,258

ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას მენეჯმენტი ითვალისწინებს, მოხდა თუ არა დავალიანების ძირითადი თანხის, ან არის თუ არა ცნობილი მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ჯგუფიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებში რაიმე სირთულის არსებობის შესახებ ან ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტი. ჯგუფა რეზერვებს აფასებს მხოლოდ ინდივიდუალურად.

სავაჭრო დებიტორებიდან მოთხოვნები და გაცემული სესხების დანაკარგები ინდივიდუალურად ფასდება თითოეული კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების საფუძველზე. შეფასებისას ჯგუფის მენეჯმენტი ითვალისწინებს თითოეული კონტრაგენტის შესაძლებლობას რამდენად დროულად დაფარავს საკონტრაქტო პირობით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ გადასახდელ თანხას.

სავაჭრო დებიტორებიდან მოთხოვნების და გაცემული სესხების დანაკარგების რეზერვები მხოლოდ ინდივიდუალურად ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის და თითოეული კონტრაგენტი განიხილება დამოუკიდებლად.

საბაზრო რისკი. ჯგუფი იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

შპს“ტრანსფორდი”

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარში	აშშ დოლარი ლარში	ევროში ლარში	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები და სხვა				
გრძელვადიანი მოთხოვნები	1,544	-	-	1,544
(დაკავშირებულ მხარეზე)				
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	12,914	-	-	12,914
ფული და ფულის ექვივალენტები	8,511	733	88	9,332
სულ ფინანსური აქტივები	22,969	733	88	23,790

ვალდებულებები				
სესხი	-	10,483	-	10,483
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	34,367	-	34,367
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	466	1,555	53	2,074
სულ ფინანსური ვალდებულებები	466	46,405	53	46,924

წმინდა პოზიცია	22,503	(45,672)	35	(23,134)
-----------------------	---------------	-----------------	-----------	-----------------

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარში	აშშ დოლარი ლარში	ევროში ლარში	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხი	1,188	-	-	1,188
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	8,060	-	-	8,060
ფული და ფულის ექვივალენტები	7,515	2,481	14	10,010
სულ ფინანსური აქტივები	16,763	2,481	14	19,258

ვალდებულებები				
სესხი	-	10,007	-	10,007
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	37,322	-	37,322
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	498	1,575	-	2,073
სულ ფინანსური ვალდებულებები	498	48,904	-	49,402

წმინდა პოზიცია	16,265	(46,423)	14	(30,144)
-----------------------	---------------	-----------------	-----------	-----------------

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ჯგუფის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31 დეკემბერი 2017 წ.		31 დეკემბერი 2016 წ.	
	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(9,134)	-	(9,285)	-
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	9,134	-	9,285	-
ევროს გამყარება 20%-ით	7	-	3	-
ევროს დასუსტება 20%-ით	(7)	-	(3)	-

შპს“ტრანსფორდი”

**2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც ჯგუფის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. ჯგუფის მიერ გაცემული სესხი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანია. ამრიგად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფს არ აქვს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი რისკი. ჯგუფს არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯობია ჯგუფისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი.

ფიქსირებული განაკვეთებით აღებული და გაცემული სესხების პირობებში, ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებით გამოწვეულ სამართლიანი ღირებულების რისკს. ქვემოთ მოცემულია იმ ფინანსური აქტივებისა საბალანსო მონაცემები, რომლებიც ექვემდებარება ამ რისკს:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
მიღებული სესხი	10,483	10,007
გაცემული სესხები	1,364	1,188

ლიკვიდურობის რისკის მართვა. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფი ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებას, მაშინ როდესაც მას უწევს გადახდა განრიგის მიხედვით. ამ რისკის კონტროლისათვის, მენეჯმენტი ადგენს მომავალი ფულადი ნაკადების გეგმას. ჯგუფი იყენებს სახელმწიფო სუბსიდირებას რათა მოახდინოს ლიკვიდურობის რისკის მინიმიზაცია.

ლიკვიდურობის რისკის ცხრილი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია პირველადი ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულების ამოწურვამდე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ეყრდნობა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებულ ფულის ნაკადებს, რის გამოც ისინი შესაძლოა არ ედრებოდეს საბალანსო უწყისში ასახულ თანხებს:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნისთანა ვე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,074	-	-	-	2,074
ფინანსური იჯარა	3,140	3,139	22,930	33,171	62,380
სესხი	10,483	-	-	-	10,483
სულ მომავალში გადასახდელები	15,697	3,139	22,930	33,171	74,937

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,073	-	-	-	2,073
ფინანსური იჯარა	3,165	3,165	24,197	39,496	70,023
სესხი	-	9,998	-	-	9,998
სულ მომავალში გადასახდელები	5,238	13,163	24,197	39,496	82,094

ჯგუფის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. ჯგუფი გეგმავს დაფაროს მისი ვალდებულებები შემოსავლებით საოპერაციო საქმიანობიდან.

კაპიტალის მართვა. ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს ჯგუფის , ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. ჯგუფის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. ჯგუფი არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

19. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიღებული სესხები და სხვა ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები აღებულია იმ ახალი ინსტრუმენტებისგან, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. გაცემული სესხები და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

20. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნით ბასს 39-ში, *ფინანსური აქტივები: აღიარება და შეფასება*, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით. რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: (ი) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები მათი საწყისი აღიარებისას და (იი) ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული.

შპს“ტრანსფორდი”

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შეჯერება შეფასების ამ კატეგორიებთან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სესხები და დებიტორული დავალიანება	გასაყიდად არსებული აქტივები	დაფარვის ვადამდე ფლობ- ილი	აქტივები, რომელიც განსაზღვრულია სამართლიანი ღირებულებით-ის მიხედვით
აქტივები				
- გაცემული სესხი და სხვა გრძელვადიანი მოთხოვნა	1,544	-	-	-
დაკავშირებულ მხარეზე				
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	12,914	-	-	-
- საბანკო ნაშთები	9,332	-	-	-
მოთხოვნამდე				
სულ ფინანსური აქტივები	23,790	-	-	-

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შეჯერება შეფასების ამ კატეგორიებთან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სესხები და დებიტორული დავალიანება	გასაყიდად არსებული აქტივები	დაფარვის ვადამდე ფლობ- ილი	აქტივები, რომელიც განსაზღვრულია სამართლიანი ღირებულებით-ის მიხედვით
აქტივები				
- გაცემული სესხი	1,188	-	-	-
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	8,060	-	-	-
- საბანკო ნაშთები	10,010	-	-	-
მოთხოვნამდე				
სულ ფინანსური აქტივები	19,258	-	-	-

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

შპს „ტრანსფორდი“

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2017 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	წილის მფლობელები	არამაკონტროლე ბელი წილის მფლობელები	სხვა დაკავშირებუ ლი მხარეები	მენეჯმენტი
გაცემული სესხი	-	-	1,364	-
დებიტორული დავალიანება	1,825	-	9,939	-
სხვა მოთხოვნები	-	-	180	-
კრედიტორული დავალიანება	(1,682)	-	(311)	-
მიღებული ავანსები	(146)	-	-	-
გადასახდელი დივიდენდები	(300)	-	-	-
შემოსავალი	4,345	-	13,435	-
შესყიდვები	640	-	2,727	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-	90	-
განაწილებული დივიდენდები	-	475	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები	-	-	-	4
დირექტორატი (გადასახდელი)	-	-	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები	-	-	-	817
დირექტორატი (ხარჯი)	-	-	-	-

2016 წლის 31 დეკემბრისათვის ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ბალანსები:

	წილის მფლობელები	არამაკონტრო ლებელი წილის მფლობელები	სხვა დაკავშირებ ული მხარეები	მენეჯმენტი
გაცემული სესხი	-	-	1,188	-
დებიტორული დავალიანება	113	-	6,493	-
კრედიტორული დავალიანება	(29)	-	(271)	-
მიღებული ავანსები	(1,198)	-	(18)	-
გადასახდელი დივიდენდები	(1,300)	(596)	-	-
შემოსავალი	7,421	-	8,747	-
შესყიდვები	535	-	985	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-	153	-
განაწილებული დივიდენდები	5,053	1,755	-	25
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები	-	-	-	(6)
დირექტორატი (გადასახდელი)	-	-	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები	-	-	-	503
დირექტორატი (ხარჯი)	-	-	-	-

22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები.

შპს „მეტალექს ტრანსი“-ს სასამართლო დავა - შპს „მეტალექს ტრანსი“ იყო ერთ-ერთი მოპასუხე 2013 წელს აღძრულ სასამართლო დავაში. კომპლექსურ სამოქალაქო დავაში ერთ-ერთი სადაო საკითხი იყო სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს“, შპს „მეტალექსი“ და შპს „მეტალექს ტრანსი“ შორის დადებული ფოთის საზღვაო ნავსადგურის #5 ტერმინალის იჯარის ხელშეკრულების დამატება #2-ის ბათილად ცნობა. მოსარჩელე ასევე ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას 3.995 ათასი ლარის ოდენობით, #5 ტერმინალის იჯარის ხელშეკრულების ნაადრევად შეწყვეტის გამო. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლომ დააყადაღა 2.3 მილიონი ლარი

შპს „ტრანსფორდი“

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შპს „მეტალექს ტრანსი“-ს ანგარიშიდან. 2015 წლის იანვარში თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება და ბათილად ცნო შპს „მეტალექს ტრანსი“-ს და სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს“ შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების დამატება #2. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ორივე მხარემ. 2015 წლის 02 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაც ორივე მხარემ გაასაჩივრა. 2016 წლის 20 მაისს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს განსაზღვრულად. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა შპს „მეტალექსი“-ს, შპს „მეტალექს ტრანსი“-ს, „სტიქინლორდ ენტერფრაიზ ელ ელ ფი“-სა და სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“-ს საჩივრები. მოსარჩელემ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით. უზენაესმა სასამართლომ 2017 წლის 31 ივლისს მოსარჩელის საჩივარი დაუშვებლად ცნო და ძალაში დატოვა 2017 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება. უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განჩინება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. ისე როგორც ასახულია ბალანსის შემდეგ მოხდარ მოვლების ამსახველ ახსნა განმარტებით შენიშვნაში 2018 წლის მარტს შპს „მეტალექს ტრანსი“-ს ანგარიშზე არსებული ყადაღა 2.3 მილიონი ლარის ოდენობით მოხსნილია.

შპს „ბი ენდ პი“-ს სასამართლო დავა - შპს „ბი ენდ პი“ არის ერთ-ერთი მესამე პირი სასამართლო დავაში, რომელიც დაიწყო 2014 წელს. ეს არის კომპლექსური (მრავლისმომცველი) სამოქალაქო დავა, რომლის ერთ ერთი სადაო საკითხია შპს „ბი ენდ პი“-სა და „ფოთის საზღვაო კორპორაცია“-ს შორის მე-9 და მე-10 ტერმინალებთან დაკავშირებით დადებული იჯარის ხელშეკრულების ნამდვილობა. ჯგუფის მენეჯმენტი, შეფასების შედეგად, არ ელოდება რაიმე არასასურველ (უარყოფით) შედეგებს შპს „ბი ენდ პი“-ს დავებისგან.

გარდა ზემოთ აღნიშნული სასამართლო დავისა პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება ჯგუფს სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შევითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შევითხვები, ახლა გაჩნდეს შევითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

ვალდებულება. ტერმინალების საოპერაციო იჯარის მომავალი პერიოდის მინიმალური გადასახდელების ჯამური მონაცემები მოცემულია ქვემოთ:

	31.12.2017	31.12.2016
1 წელში	14,739	14,785
1-3 წელში	32,524	31,043
3-6 წელში	56,025	54,224
6 წლის შემდეგ	178,502	202,458
სულ	281,790	302,510

საიჯარო ვალდებულება. ფოთის პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის და მასზე მდებარე ნაგებობების საოპერაციო იჯარის მომავალი პერიოდის მინიმალური გადასახდელების ჯამური მონაცემები მოცემულია ქვემოთ:

	31.12.2017	31.12.2016
1 წელში	70	72
1-3 წელში	141	143
3-6 წელში	211	215
6 წლის შემდეგ	664	747
სულ	1,087	1,178

23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ჯგუფის სასამართლო დავები. შპს „მეტალექს ტრანსი“-ს სასამართლო დავა - შპს „მეტალექს ტრანსი“ იყო ერთ-ერთი მოპასუხე 2013 წელს აღძრულ სასამართლო დავაში. კომპლექსურ სამოქალაქო დავაში ერთ-ერთი სადაო საკითხი იყო სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს“, შპს „მეტალექსი“-ს და შპს „მეტალექს ტრანსი“-ს შორის დადებული ფოთის საზღვაო ნავსადგურის #5 ტერმინალის იჯარის ხელშეკრულების დამატება #2-ის ბათილად ცნობა. მოსარჩელე ასევე ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას 3,995 ათასი ლარის ოდენობით, #5 ტერმინალის იჯარის ხელშეკრულების ნაადრევად შეწყვეტის გამო. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლომ დააყადაღა 2.3 მილიონი ლარი შპს „მეტალექს ტრანსი“-ს ანგარიშიდან. 2015 წლის იანვარში თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება და ბათილად ცნო შპს „მეტალექს ტრანსი“-ს და სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს“ შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების დამატება #2. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ორივე მხარემ. 2015 წლის 02 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაც ორივე მხარემ გაასაჩივრა. 2016 წლის 20 მაისს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს განსახილველად. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა შპს „მეტალექსი“-ს, შპს „მეტალექს ტრანსი“-ს, „სტეინლორდ ენტერფრაიზ ელ ელ ფი“-სა და სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“-ს საჩივრები. მოსარჩელემ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით. უზენაესმა სასამართლომ 2017 წლის 31 ივლისს მოსარჩელის საჩივარი დაუშვებლად ცნო და ძალაში დატოვა 2017 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება. უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განჩინება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. 2018 წლის მარტს შპს „მეტალექს ტრანსი“-ს ანგარიშზე არსებული ყადაღა 2.3 მილიონი ლარის ოდენობით მოხსნილია.

განაწილებული დივიდენდი. 2018 წლის იანვარში და აგვისტოში ერთ-ერთ შვილობილ კომპანიამ გაანაწილა დივიდენდი კომპანიასა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე 1,391 და 1,116 შესაბამისად.

2018 წლის მაისში კომპანიამ გაანაწილა დივიდენდები მის მფლობელებზე 600 ლარის ოდენობით.

ვადიანი სესხის დაფარვის ვადის ცვლილება. 2018 წლის თებერვალში გაფორმდა შეთანხმება შპს პეის ნორსთან მიღებული სესხით სარგებლობის ვადასთან დაკავშირებით, სარგებლობის ვადად განისაზღვრა 2023 წლის 4 მარტი ნაცვლად 2018 4 წლის მარტისა.

კაპიტალის შეესება. 2018 წლის აპრილში დედა კომპანიის ერთ ერთმა მფლობელმა შპს პეის ჯორჯიამ კაპიტალში შეიტანა ფულადი და არაფულადი აქტივები, შენატანის შეთანხმებულმა ღირებულებამ შეადგინა 7,000 ლარი.

დამატებითი ფინანსების მოთხოვნა. დედა კომპანიამ და მისმა ერთ ერთმა დამფუძნებელმა შპს პეის ჯორჯიამ დაფინანსების მოპოვების მიზნით მიმართეს OPIC-ს. (Oversea Private Investment Corporation) დაფინანსების მიზანი არის შპს პეის ჯორჯიას ერთ ერთი შვილობილი კომპანიის შპს პეის ტერმინალის საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. 2018 წლის სექტემბრისათვის OPIC-ის მხრიდან დასრულებულია ეკონომიკური, ტექნიკური, იურიდიული და გარემოზე ზემოქმედების ანალიზი. წინასწარი ზოგადი პირობების ამსახველი დოკუმენტი კომპანიებს უკვე ჩაბარდა, სესხის დაფინანსების ოდენობა განისაზღვრა 50 მილიონი დოლარით. სესხის/დაფინანსების დამტკიცების საბოლოო დასრულება მოსალოდნელია 2018 წლის ბოლომდე.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 12 დეკემბერს. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს ტრანსფორდი-ს
ჯგუფის
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ
თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის
მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიში

ჯგუფი, მისი დამფუძნებლები და შვილობილი კომპანიები

შპს „ტრანსფორდი“ (კომპანია) დაარსდა 2010 წლის 23 აგვისტოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 404386151), კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ორბელიანის ჩიხი, №5.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელების სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ:

კომპანია	ფლობა 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	ფლობა 2017 წლის 1 იანვრისათვის
შპს პეის ჯორჯია (საქართველოში რეგისტრირებული კომპანია; საიდენტიფიკაციო კოდი 204413759)	75%	50 %
შპს პეის ინტერნეიშენალი (აშშ-ში რეგისტრირებული კომპანია)	25%	50 %

კომპანიის წესდებიდან გამომდინარე კომპანიის ორივე დამფუძნებელს თანაბარი უფლებები აქვს კომპანიის მართვისას რის გამოც, კომპანიას არ ჰყავს არც დედა კომპანია და არც მაკონტროლებელი პირი.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილ კომპანიებს: შპს ბი ენდ პი; შპს მეტალექს ტრანსი; შპს ფოთის გემთსაშენი. დედა კომპანიის და შპს ბი ენდ პი და შპს მეტალექს ტრანსის მმართველობითი ანგარიშებზე ბმული მოცემულია ქვემოთ, რაც შეეხება შპს ფოთის გემთსაშენს რომელიც ფაქტიურად არ ფუნქციონირებდა 2016 და 2017 წლების განმავლობაში მის ძირითად აქტივს წარმოადგენს ქალაქ ფოთში მდებარე უძრავი ქონება (არასასოფლო დანიშნულების მიწა 4,437 კვ. მ ფართით და მასზე მდებარე 4,412 კვ. მ ფართის შენობა ნაგებობა, მათი ნეტო საბალანსო ღირებულება შეადგენს 915 და 929 2017 წლის 31 დეკემბრისათვის და 1 იანვრისათვის შესაბამისად). შპს ფოთის გემთსაშენში დასაქმებულია 47 მუდმივი და დროებითი თანამშრომლები, კომპანიის წლიური შემოსავალი შეადგენს 306 ლარს.

შვილობილი კომპანიების მმართველობითი ანგარიშგებები მოცემულია ქვემოთ იმ სახით როგორც წარდგენილია თითოეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის საიტზე (<https://reportal.ge/>).

2017 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ 2018 წლის 12 დეკემბერს.

ბნ. აპალონ ბჟალავა, გენერალური დირექტორი

შპს „ტრანსფორდი“-ს ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მმართველობითი ანგარიში

ჯგუფი, მისი დამუშენებლები და შვილობილი კომპანიები

შპს „ტრანსფორდი“ (კომპანია) დაარსდა 2010 წლის 23 აგვისტოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 404386151), კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ორბელიანის ჩიხი, №5.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელების სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ:

კომპანია	ფლობა 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	ფლობა 2017 წლის 1 იანვრისათვის
შპს პეის ჯორჯია (საქართველოში რეგისტრირებული კომპანია; საიდენტიფიკაციო კოდი 204413759)	75%	50 %
შპს პეის ინტერნეიშენალი (აშშ-ში რეგისტრირებული კომპანია)	25%	50 %

კომპანიის წესდებიდან გამომდინარე კომპანიის ორივე დამფუძნებელს თანაბარი უფლებები აქვს კომპანიის მართვისას რის გამოც, კომპანიას არ ჰყავს არც დედა კომპანია და არც მაკონტროლებელი პირი.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილ კომპანიებს: შპს ბი ენდ პი; შპს მეტალექს ტრანსი; შპს ფოთის გემთსაშენი. დედა კომპანიის და შპს ბი ენდ პი და შპს მეტალექს ტრანსის მმართველობითი ანგარიშებზე ბმული მოცემულია ქვემოთ, რაც შეეხება შპს ფოთის გემთსაშენს რომელიც ფაქტურად არ ფუნქციონირებდა 2016 და 2017 წლების განმავლობაში მის ძირითად აქტივს წარმოადგენს ქალაქ ფოთში მდებარე უძრავი ქონება (არასასოფლო დანიშნულების მიწა 4,437 კვ. მ ფართობით და მასზე მდებარე 4,412 კვ. მ ფართობის შენობა ნაგებობა, მათი ნეტო საბალანსო ღირებულება შეადგენს 915 და 929 2017 წლის 31 დეკემბრისათვის და 1 იანვრისათვის შესაბამისად). შპს ფოთის გემთსაშენში დასაქმებულია 47 მუდმივი და დროებითი თანამშრომლები, კომპანიის წლიური შემოსავალი შეადგენს 306 ლარს.

შვილობილი კომპანიების მმართველობითი ანგარიშგებები მოცემულია ქვემოთ იმ სახით როგორც წარდგენილია თითოეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის საიტზე (<https://reportal.ge/>).

2017 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ 2018 წლის 12 დეკემბერს.

ბნ. აპალონ ბეალავა, გენერალური დირექტორი



შპს ტრანსფორდი-ს

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ
თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის
მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიში	3
1. კომპანია და მისი დამუშნებლები.....	3
2. შემოსავლები	3
3. ძირითადი საწარმოო სიმბლავრები	4
4. საქმიანობის განვითარების გეგმები.....	5
5. დასაქმებულთა რაოდენობა.....	5
6. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რაიმე სახის კვლევა	5
7. ფინანსური რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი	5
8. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	5
9. ფინანსური რისკები	5
10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.....	9
11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა	9
12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები	9

მმართველობითი ანგარიში

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები

შპს „ტრანსფორდი“ (კომპანია) დაარსდა 2010 წლის 23 აგვისტოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 404386151), კომპანიის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ორბელიანის ჩიხი, №5.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელების სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ:

კომპანია	ფლობა 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	ფლობა 2017 წლის 1 იანვრისათვის
შპს პეის ჯორჯია (საქართველოში რეგისტრირებული კომპანია; საიდენტიფიკაციო კოდი 204413759)	75%	50 %
შპს პეის ინტერნეიშენალი (აშშ-ში რეგისტრირებული კომპანია)	25%	50 %

კომპანიის წესდებიდან გამომდინარე კომპანიის ორივე დამფუძნებელს თანაბარი უფლებები აქვს კომპანიის მართვისას რის გამოც, კომპანიას არ ჰყავს არც დედა კომპანია და არც მაკონტროლებელი პირი.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილ კომპანიებს: შპს ბი ენდ პი; შპს მეტალექს ტრანსი; შპს ფოთის გემთსაშენი. მათი საქმიანობა და ზოგადი დეტალები მოცემულია ქვემოთ:

შვილობილი კომპანია	დაფუძნების თარიღი	კონტროლის მოპოვების თარიღი	ფლობა	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის ქვეყანა
შპს ბი ენდ პი	03/19/2003	12/15/2012	80 %	ფოთის ტერმინალების ტერიტორიაზე ჩატვირთვა/გადმოტვირთვა	საქართველო
შპს მეტალექს ტრანსი	02/24/2011	09/07/2011	52.5 %	ფოთის ტერმინალების ტერიტორიაზე ჩატვირთვა/გადმოტვირთვა	საქართველო
შპს ფოთის გემთსაშენი	02/10/2006	04/10/2013	100%	გემების მშენებლობა რემონტი/ არააქტიური	საქართველო

2. შემოსავლები

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფოთის პორტში ტვირთის ინსპექტირება, ჩატვირთვა/გადმოტვირთვის სამუშაოების შესრულება. კომპანიას გრძელვადიანი იჯარით აღებული აქვს ფოთის პორტში რამოდენიმე ტერმინალი რომელზეც განთავსებულია: ტერმინალის ღია სასაწყობო ტერიტორია, დახურული სასაწყობო შენობები და მანქანა დანაადგარები, კერძოდ სხვადასხვა ტვირთამწეობის პორტალური ამწეები და მათი აღჭურვილობები (გრეიფერები, სატაცები). იჯარის დამატებითი დეტალები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. წლების მიხედვით შემოსავლების ოდენობა მოცემულია ქვემოთ:

	2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ფოთის პორტში ჩატვირთვა გადმოტვირთვის მომსახურება	17,807	17,942
სხვა შემოსავალი	83	35
სულ შემოსავალი	17,890	17,977

ტვირთბრუნვის ოდენობა 2017 და 2016 წლების შესაბამისად წარმოადგენს 796,434 და 879,400 ტონას.

3. ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები

კომპანიას გრძელვადიანი იჯარით აღებული აქვს ფოთის პორტში რამოდენიმე ტერმინალი რომელზეც განთავსებულია: ტერმინალის ღია სასაწყობო ტერიტორია, დახურული სასაწყობო შენობები და მანქანა დანადგარები, კერძოდ სხვადასხვა ტვირთამწობის პორტალური ამწეები და მათი აღჭურვილობები (გრეიფერები, სატაცები). კომპანიის მიერ წლების მანძილზე საკუთარი სახსრებით შეძენილია სხვადასხვა სიმძლავრის ავტომტვირთავები და სარკინიგზო მანევრირებისათვის ლოკომოტივები. ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები განთავსებულია იჯარით აღებულ აქტივებზე. მათი ფინანსური დეტალები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	იჯარით- აღებული ქონების კეთილმო- წყობა	მანქანა- დანადგარებ ი	ოფისის აღჭურვილობ ა	სატრანსპორტ ო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება					
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	133	18,109	140	48	18,430
შეძენა	-	723	24	-	747
გასვლა	-	(1)	(6)	-	(7)
2017 წლის 31 დეკემბრის	133	18,831	158	48	19,170
ცვეთა:					
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	19	3,029	75	13	3,136
პერიოდის ცვეთა	5	816	26	6	853
გასვლის პერიოდის ცვეთა	-	-	(5)	-	(5)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24	3,845	96	19	3,984
წმინდა საბალანსო ღირებულება:					
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	114	15,080	65	35	15,294
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	109	14,986	62	29	15,186
კომპანიის მანქანა დანადგარები მოიცავს ქვემოთ მოცემულ აქტივებს რომელსაც კომპანია ფლობს ფინანსური იჯარის სახით (ფინანსური იჯარის დეტალები მოცემულია ქვემოთ):					
				მანქანა- დანადგარები (ფინანსური იჯარა)	სულ
ისტორიული ღირებულება					
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით				15,777	15,777
შეძენა				-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				15,777	15,777
ცვეთა:					
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით				2,819	2,819
პერიოდის ცვეთა				662	662
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				3,481	3,481
წმინდა საბალანსო ღირებულება:					
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით				12,958	12,958
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				12,296	12,296

4. საქმიანობის განვითარების გეგმები

კომპანიამ და მისმა ერთ ერთმა დამფუძნებელმა შპს პეის ჯორჯიამ დაფინანსების მოპოვების მიზნით მიმართეს OPIC-ს. (Oversea Private Investment Corporation) დაფინანსების მიზანი არის შპს პეის ჯორჯიას ერთ ერთი შვილობილი კომპანიის შპს პეის ტერმინალის საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. 2018 წლის სექტემბრისათვის OPIC-ის მხრიდან დასრულებულია ეკონომიკური, ტექნიკური, იურიდიული და გარემოზე ზემოქმედების ანალიზი. წინასწარი ზოგადი პირობების ამსახველი დოკუმენტი კომპანიებს უკვე ჩაბარდა, სესხის დაფინანსების ოდენობა განისაზღვრა 50 მილიონი დოლარით. სესხის/დაფინანსების დამტკიცების საბოლოო დასრულება მოსალოდნელია 2018 წლის ბოლომდე.

სხვა განვითარების გეგმები კომპანიას არ აქვს.

5. დასაქმებულთა რაოდენობა

საწარმოში დასაქმებულია 310 თანამშრომელი.

6. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რაიმე სახის კვლევა

ასეთი სახის კვლევა საწარმოში არ ჩატარებულა.

7. ფინანსური რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი

ქვემოთ მოცემული ფინანსური რისკების ანალიზის გარდა სხვა რისკების ანალიზი კომპანიაში არ ჩატარებულა.

8. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

9. ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2017	01.01.2017
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	6,009	2,608
გაცემული სესხი		
გაცემული სესხები და სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები (დაკავშირებულ მხარეზე)	1,544	1,188
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები		
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	2,584	3,639
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	10,137	7,435

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

შპს“ტრანსფორდი“-ს მმართველობითი ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

გაცემული სესხები - კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხთან დაკავშირებული ლიკვიდურობის რისკი მინიმალურია.

დებიტორული დავალიანება - კონტრაგენტების ინტენსიური საკრედიტო ანალიზის საფუძველზე ფასდება მათგან მისაღების თანხების სარკედიტო ხარისხი. მნიშვნელოვანი დებიტორებისათვის ინდივიდუალური გაუფასურების შეფასება ხორციელდება ყოველ საბალანსო თარიღისათვის. მცირე თანხის დებიტორები ჯგუფდება ერგვაროვან ჯგუფებად და მათი გაუფასურება ფასდება ჯგუფურად.

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწეხულობაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო დებიტორების ანალიზს ხანდაზმულობის სახეების მიხედვით. ასევე ცხრილში მოცემულია ამ აქტივებზე შექმნილი ზოგადი და სპეციფიკური გაუფასურების ანარიცხის თანხები:

2017 წლის 31 დეკემბრისათვის:

	ვადიანი მოთხოვნა და 30 დღემდე ვადაგადა ცილება	30-60 დღე ვადაგადა ცილება	60-90 დღე ვადაგადა ცილება	90-180 დღე ვადაგადა ცილება	180 დღეზე მეტი ვადაგადა ცილება	ჯამი
სავაჭრო დებიტორები	805	9	342	-	5,321	6,477
გაცემული სესხები და სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები (დაკავშირებულ მხარეზე)	1,364	-	-	-	180	1,544
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	2,584	-	-	-	-	2,584
სულ ფინანსური აქტივები	4,753	9	342	-	5,501	10,605
საეჭვო ვალების რეზერვი	12	-	-	-	456	468
ნეტო ფინანსური აქტივები	4,741	9	342	-	5,045	10,137

2017 წლის 1 იანვრისათვის:

	ვადიანი მოთხოვნა და 30 დღემდე ვადაგადა ცილება	30-60 დღე ვადაგადა ცილება	60-90 დღე ვადაგადა ცილება	90-180 დღე ვადაგადა ცილება	180 დღეზე მეტი ვადაგადა ცილება	ჯამი
სავაჭრო დებიტორები	766	-	-	29	2,137	2,932
დაკავშირებულ მხარეზე	1,188	-	-	-	-	1,188
გაცემული გრძელვადიანი სესხი	3,639	-	-	-	-	3,639
სულ ფინანსური აქტივები	5,593	-	-	29	2,137	7,759
საეჭვო ვალების რეზერვი	-	-	-	29	295	324
ნეტო ფინანსური აქტივები	5,593	-	-	-	1,842	7,435

შპს“ტრანსფორდი“-ს მმართველობითი ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას მენეჯმენტი ითვალისწინებს, მოხდა თუ არა დავალიანების ძირითადი თანხის, ან არის თუ არა ცნობილი მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ჯგუფიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებში რაიმე სირთულის არსებობის შესახებ ან ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტი. კომპანია რეზერვებს აფასებს მხოლოდ ინდივიდუალურად.

სავაჭრო დებიტორებიდან მოთხოვნები და გაცემული სესხების დანაკარგები ინდივიდუალურად ფასდება თითოეული კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების საფუძველზე. შეფასებისას კომპანიის მენეჯმენტი ითვალისწინებს თითოეული კონტრაგენტის შესაძლებლობას რამდენად დროულად დაფარავს საკონტრაქტო პირობით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ გადასახდელ თანხას. დავალიანების ამოღების შესაძლებლობა ფასდება პროცენტულად, რომლის საფუძველზეც შეიქმნება საეჭვო მოთხოვნისთვის ინდივიდუალური რეზერვი;

სავაჭრო დებიტორებიდან მოთხოვნების და გაცემული სესხების დანაკარგების რეზერვები მხოლოდ ინდივიდუალურად ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის და თითოეული პორტფელი განიხილება დამოუკიდებლად.

